№ 202

კვირა, 20 სექტემბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 202

კვირა, 20 სექტემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

დარია ზაქარიას ასული და ელისაბედ სერგეის ასული მირზოევისანი და კნეინა მარიამ ივანეს ასული არღუთინსკი-დოლგორუკოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი—შვილისა, მეორე—მეუღლისა და მესამე—ძმისა

მინა ივანეს ძის მირზოევისას.

პანაშვიდი ყოველ დღე არის საღამოს 6 საათზედ, ორთაჭალაში, საკუთარს სახლში, დაკრძალვის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (1—140—1)

დრამატ. საზოგ. დროებით თავმჯდომარე ამით იუწყება, რომ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების
საგანგებო კრება
დანიშნულია 25 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში
გამგეობას ხუთის წევრის ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს. *) (3—1)

*) პირველი განცხადება შეცდომით იყო დაბეჭდილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. —დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით. ავადმყოფებს.

ა. შ. კარაშეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ჩამობრძანება ტფილისში.

19 სექტემბერი

ტფილისში ჩამობრძანების მეორე დღეს, პარასკევს, 18 სექტემბერს, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა სადარბაზოდ წაბრძანდა თ. ლ. მელიქიშვილის ქვრივთან კნ. ა. მ. მელიქიშვილთან, ბრძანდებოდა სადარბაზოდ აგრეთვე უგანათლებულესს კნ. თამ. ა. გრუზინსკისთან.

შემდეგ სასახლეში სადილი იქმნა გამართული, რომელზედაც მიპატიჟებულნი იყვნენ ზოგიერთნი წარჩინებულნი კაცნი.

მესამე დღეს, შაბათს, 19 სექტემბერს, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის წინაშე სასახლეში, 9 საათსა და 30 წუთზედ, წარსდგნენ მაჰმადიანთა სამღვდელოების წარმომადგენელნი: შიიტისა—ამიერ-კავკასიის შეიხი, ულ ისლამ-მოლლა-აბდუს-სალამ-ახუნდ-ზადე და სუნიტისა—ამიერ-კავკასიის მუფტი ჰუსეინ-ეფენდი გაიბოვი.

9 საათსა და 50 წუთზედ მის იმპერატორებითის უმაღლესობის წინაშე წარსდგა ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსი არქიეპისკოპოსი კევორკ სურენიანცი.

დილის 10 საათსა და 30 წუთზედ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე კავკასიის მთავარ-მართებელთან ერთად წაბრძანდა ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში.

გიმნაზიასთან მის იმპერატორებით უმაღლესობას დაჰხვდნენ: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, კავკასიის ოლქის სამხედრო შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი შუტლევორტი, გიმნაზიის დირექტორი დრბოგლავი, ინსპექტორი გამყრელიძე და სხვანი.

მიესალმა რა მათ, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა გიმნაზიის შენობაში შებრძანდა, სადაც მოსწავლენი იყვნენ გამწკრივებულნი. დარბაზში გიმნაზიის დირექტორმა მის იმპერატორებითს უმაღლესობას სიტყვით მიჰმართა.

11 საათსა და 15 წუთზედ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მეორე გიმნაზიიდგან ვერის ხიდით ვაჟთა პირველ გიმნაზიაში წაბრძანდა. ამ გიმნაზიის კარებში მის იმპერატორებითს უმაღლესობას დაჰხვდნენ დირექტორი და მასწავლებელნი. მიესალმა რა მათ, დიდმა მთავრმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი ჩამოართვა გიმნაზიის დირექტორს, ხოლო გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებელს დეკანოზს მ. ხელიძეს გადაეხვია და დაჰკოცნა. შემდეგ გაბრძანდა ეზოში, სადაც მოსწავლენი იყვნენ გამწკრივებულნი და მიესალმა მათ. გიმნასტიკის მასწავლებელმა რამდენჯერმე გაატარგამოატარა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის წინ მოსწავლენი, დაათვალიერა გიმნაზიის სადგომი. 12 საათზედ დიდი მთავარი წაბრძანდა სასახლეში, ხოლო იქიდგან მთავარმართებლად ნამყოფის შერემეტევის ქვრივთან, სადაც საუზმე მიირთვა.

საუზმის შემდეგ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, კავკასიის მთავარ-მართებელთან ერთად 1 საათსა და 25 წუთზედ, კადეტთა კორპუსში წაბრძანდა. კორპუსის კარებთან მის იმპერატორებითს უმაღლესობას დაჰხვდნენ: ტფილისის კომენდანტი, კადეტთა კორპუსის დირექტორი. დიდმა მთავარმა დაიარა დარბაზები, სადაც მოწაფენი იყვნენ გამწკრივებულნი, მიესალმა მათ და შემდეგ დაათვალიერა სადგომი.

1 საათსა და 50 წუთს მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დედათა საბებიო ინსტიტუტში წაბრძანდა, სადაც მიეგებნენ: პროფესორი დ. ო. ოტტო, კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე პ. ა. გლავაცკი, საბებიო ინსტიტუტის დირექტორი ანანოვი და მკურნალები. დაათვალიერა რა ინსტიტუტი, დიდი მთავარი მთავარმართებელთან ერთად წაბრძანდა ვერის ხიდით მიხეილის ქუჩაზედ თავის უავგუსტოეს შვილთან ნიკოლოზ მიხეილის ძესთან. ქუჩებში ყველგან აუარებელი ხალხი იდგა. ვერის ხიდის მახლობლად კირკის ქუჩის აქეთ-იქით მხარეს იდგნენ ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოწაფენი, შემდეგ მიხეილის ქუჩაზედ მოსწავლენი რეალურ სასწავლებლისა, სამოსწავლო ინსტიტუტისა და სხვა. 2 საათზედ და 45 წუთზედ თავის უავგუსტოეს შვილის სადგომიდგან დიდი მთავარი წაბრძანდა, ტფილისის რკინის გზის სადგურზედ.

მისს იმპერატორებითს უმაღლესო-

# ფელეტონი

## ამ ზაფხულს ნახულ-ნასმენი საქართველოში

დავიწყოთ ქუთაისიდგან, რადგანაც ეს ქალაქი გახლავთ შუაგული საქართველოს იმიერ ნაწილისა. ერთის შეხედვით ქუთაისი ზაფხულში, ე. ი. ივნისიდგან აგვისტოს დამლევამდის მოგაგონებს ვრცელს საავარაკო ადგილს, სადაც სიცოცხლე, მივარდნილ პროვინციებთან შედარებით, უფრო მეტია. ქუთაისიდგან საზაფხულოდ სხვა ადგილებში არ მიდიან მაინც-და-მაინც ბევრნი, უმრავლესობა რჩება და განაგრძობს ზამთრის ცხოვრებას, უფრო მჩატე და თხელ ტანსაცმელში გახვეული. საერთოდ ყველაფერი კუს ფეხის ნაბიჯით მიდის. ქუთათური ზაფხული იმითი განირჩევა, რომ ამ დროს ადგილობრივ საზოგადოებას ემატება ახალი ელემენტი, ე. ი. უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზდანი, რომელთაც სამშობლოში ხვდება მეტად ჭრელი საზოგადოება (როგორც ყველგან).

რითი სცხოვრობენ და რას აკეთებენ მთელს ზაფხულს ეს წევრნი ქუთაისის საზოგადოებისანი? იქ, სადაც არიან, თითქმის არაფერს ისეთს, რითაც ვისმესთვის სარგებლობის მოტანა შეიძლებოდეს. იქნება იფიქროთ, ქუთაისში არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო. არა, ბატონებო, ეს შემცდარი აზრი იქმნება. ქუთაისში ბევრი კეთდება, როცა საქმიანობას თავს დაუდებს ვინმე. არ იფიქროთ, ქუთაისი მაინც-და-მაინც ისე პატარა იყოს: ქუთაისში ამ ჟამად 30.000 მეტი მცხოვრებელია. არსებობს სასულიერო სემინარია, ვაჟთა გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, სათავად-აზნაურო სასწავლებელი, სამოქალაქო ოთხ კლასიანი, სამეურნეო სასწავლებელი, ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი, დედათა რვა კლასიანი გიმნაზია და სხვ. პატარა სასწავლებლები. დაარსებულია აგრეთვე ბევრი დაწესებულება—ბანკი სათავად-აზნაურო და ვაჭართა, სახაზინო პალატა, ოლქის სასამართლო, თვით-მმართველობა, სახელმწიფო ქონებათა მმართველობა და სხვ. არის რამდენიმე წიგნთ-საცავი, ხუთი თუ ექვსი სტამბა, ორი გაზეთი, ოთხი წიგნის მაღაზია, მშვენივრად მოწყობილი თეატრი, კლუბი და სხვ. სცხოვრობს გუბერნატორი, აქვს თავისი კანცელარია და სხვ. რაც შეეხება ვაჭრობას, ალებ-მიცემობას, არსებობას, ამ ქალაქს ბევრი შეძლებული კაცი ჰყავს, მაგრამ ესენი გარედგან შემოტანილ საქონლით უფრო ჰსაზრდოობენ. მრეწველობას თუ შევეხებით, ამ მხრივ მეტად და მეტად ღარიბია ქუთაისი, ახლო მომავალი, როგორც ამბობენ—ვითარების შეცვლას აპირებს ქარხნების დაარსებით და ღმერთმაც ჰქნას, დღეს-კი ვაჭრობა-მრეწველობით ვერ იქებს იგი თავს.

ყოველივე გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ქუთაისში ბევრი გონება გახსნილნი და საზოგადოდ ნასწავლნი უნდა იყვნენო. არიან. ქუთაისის საზოგადოება, როგორც უკვე ვთქვით—ჭრელია. აქაც, ბატონებო, როგორც ყველგან, საზოგადოება სქესებრივ განიყოფება ორ ნაწილად—ა) დედაკაცი და ბ) მამაკაცი. ქუთაისელი ქალი დიდის ყურადღების ღირსია. რას ჰფიქრობენ, ან რას აკეთებენ ეს ქალბატონები? ეხლა, აგვისტოში, რას სჩადიან, არ ვიცი და ზაფხულისას-კი მოგახსენებთ შემდეგს: ქმრიანები ქმრებს ემდურებიან, ამ საგნის შესახებს ლაპარაკში ატარებენ დროს, ქვრივები დინჯ საქმროს დაეძებენ, ყველას ყველაფერს უწონებენ (თუ მამაკაცია) და ქველმოქმედებენ ქალიშვილებთან ერთად, რომელთა რიცხვი, ე. ი. ქალიშვილებისა, დღითი დღე ჰმატულობს და იზრდება, დაკლებით-კი ძალიან იშვიათად აკლდება, ასე რომ ვისაც ოთხის წლის წინად ქალიშვილებად ვიცნობდი, დღესაც ამავე სახელს ვეძახი. ქუთაისელი ქართველი ქალიშვილები ძალიან გაჯავრებულნი არიან მთელს ახალგაზდობაზედ. „რა ღმერთი უწყრებათ ქართველ ახალგაზდობას, რომ უცხო ქვეყნის ქალებს ირთავენ ცოლად, რა მოსწონთ იმათი, რამ გააგიჟათო"... ეს ჩივილი შეიძლება მართალია და ქცევა ახალგაზდობისა, რომელიც უცხო ქალებს ირთავს, დასაძრახისიც, მაგრამ ჩვენს ქალიშვილებსაც მიუძღვით ბრალი.

რა არის ქუთაისელი ქალიშვილი? გიმნაზიაში ნასწავლი ქალბატონი. გონება-განვითარებულია? არა. საზოგადოებაში რა როლს თამაშობს? არაფერს. რასა ჰგრძნობს? გათხოვების დრო დიდი ხანია დადგა, საქმრო არა სჩანს და დრო-ჟამი-კი მიდის და მიდის. რის შესახებ ლაპარაკობს? „ვეჩერებისა", „კავალრებისა", აგარაკებისა, მთვარისა, კაბებისა, ქინძისთავებისა და სხვა. რა ენაზე ჰლაპარაკობს? საკუთარს ენაზედ, ე. ი. ნეიტრალურ ენაზედ: ქართულს ენას იმადრიელებს და არა-ქართულსაც ერთსა და იმავე დროს, არც ერთს არ აწყენინებს. მაგალითი ნეიტრალურ ენისა გახლავთ შემდეგი: „კატო! сегодня, თუ ღმერთი გწამს, приходи къ намъ. ცოტა ხანს დავრჩეთ, поболтаемъ, а послѣ—დავეცეთ თავს ელიკოს. Замѣчательная мысль! არ დაგავიწყდეს, приходи, უთუოდ!"... ერთს მშვენიერს საღამოს თქვენი მონა მორჩილი ასეთს ენას ისმენდა თერთმეტ ქალიშვილისაგან ერთის საათის განმავლობაში.

საზოგადოდ ქუთაისელ ქალებს ქალიშვილს, გათხოვილს, თუ ქვრივს

ბას რკინის გზის სადგურზედ დაჰხვდნენ: ტფილისის მანდილოსანნი კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლის კნ. მ. თ. გოლიცინის მეთაურობით, მთავარ მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, კავკასიის სამხედრო კორპუსის უფროსი გენ. ლეიტ. ე. ე. ზეზემანი, კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსი ნ. ვ. შუტლევორტი. ტფილისის კომენდანტი, მთავარ მართებლის საბჭოს წევრნი, სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ს. ბ. ვრასსკი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მუხრან-ბატონი, მაზრის წინამძღოლნი, ტფილისის გუბერნატორი, ქალაქის მოურავი და სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა სხვა მოხელენი.

მობრძანდა რა უავგუსტოეს შვილებითურთ რკინის გზის სადგურზედ, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა გამოეთხოვა იქ მყოფთ და საიმპერატორო ვაგონში აბრძანდა. მატარებელი სამს საათზედ დაიძრა ბორჯომისაკენ. აუარებელმა ხალხმა „ვაშას“ ძახილით გააცილა ძვირფასი სტუმარი.

# ახალი ამბავი

*** 18 სექტემბერს მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ კეთილ ინება და მიიღო მთავარ-მართებლის სასახლეში ტვერის დრაგუნთა მე-43 რაზმის შტაბს-როტმისტრი ესაძე, რომელმაც წარუდგინა მის უმაღლესობას თვის მიერ შედგენილი ორი წიგნი: „ტვერის დრაგუნნი კავკასიაში“ და „სახსოვრის წიგნი ტვერის დრაგუნთა რაზმის ჯარის-კაცთათვის“. წიგნები მისმა უმაღლესობამ მიიღო და ბ-ნს ესაძეს მადლობა გარდაუხადა.

*** მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, სქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ უბოძა თვისი ლოცვა-კურთხევა გორის მაზრის სოფელ მოხისის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლს, რომელმაც იკისრა ამ ეკკლესიის შეკეთება და 300 მანათზედ მეტი დაჰხარჯა ამ საქმისათვის.

*** გუშინ, 19 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზედ, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, გაუჩნდა ცეცხლი მელკიკოვის მაუდეულობის მაღაზიას. მთელი მაღაზია შიგნით და გარეთ ცეცხლის ალში იყო გახვეული. ცეცხლის მქრობი რაზმი მაშინვე მოვიდა, მაგრამ, საუბედუროდ ქალაქის წყლის მილში წყალი არ აღმოჩნდა. ბოლოს ცეცხლი მაინც ჩააქრეს $8\frac{1}{2}$ ს. ცეცხლის მქრობელ რაზმს ხელი იმან შეუწყო, რომ ქარი სრულიად არ უბერავდა ამ საღამოთი. რა წამს ცეცხლი გაჩნდა, იმ წამს მოედანზედ მობრძანდნენ, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, ტფილისის გუბერნატორი და სხვანი.

*** წრეულს ქალაქ ლიოზანის (შვეიცარიაში) უნივერსიტეტში სამკურნალო ნაწილზე სწავლა დაამთავრა ჩვენმა თანამემამულემ ბ-ნმა ალექსანდრე მაჭავარიანმა, რომელიც უკვე ჩამოვიდა სამშობლოში.

*** ორშაბათს, 21 სექტემბერს, ქალაქის საბჭოს მორიგი კრება განიხილავს შემდეგ საგნებს: დადგენილება ქალაქის გამგეობისა საჭირო ფულის გადადების შესახებ ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის საჭირო შენობის ასაგებად; გარდაწყვეტილება სარევიზიო კომისიისა ქალაქის გამსესხებელ კასსის 1897 წლის ანგარიშის შესახებ და მოხსენება გამგეობისა შესახებ იმავე კასსის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა 1898 წლისათვის. ანგარიში საბჭოს აღმასრულებელის კომისიისა შესახებ იმ ფულისა, რომელიც მიეცა 1895—1896 წლებში წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთ; არჩევანი გამსესხებელ კასსის გამგესი და იმისის კანდიდატისა; მოხსენება ქალაქის გამგეობისა სხვა-და-სხვა ამხანაგობათა მიერ მოხსენების შესახებ ცხენის რკინის გზის იჯარისა გამო და სხვ.

*** საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც ბაღების გაშენება აქვს ჩაბარებული, 18 სექტემბერს განიხილა ექსარხოსის მოედნის სახლის პატრონთა თხოვნა ამ მოედანზედ ბაღის გაშენების შესახებ. კომისიამ სცნო, რომ როგორც ექსარხოსის, აგრეთვე მთაწმინდის მოედანზედ საჭიროა ბაღების გაშენება და დაადგინა, ამ შემოდგომაზედ შეუდგეს ხსენებულ მოედნებზედ ამ ბაღების გაშენებას. კომისიამ ისიც დაადგინა, რომ ხეები დარგოს ავჭალის ქუჩაზედ იმ შენობის წინ, სადაც სახალხო წარმოდგენები იმართება ხოლმე.

*** წელს ქ. ტფილისიდგან 503 კაცია გაწვეული, რომელთაც ოქტომბერში სამხედრო ბეგარის გარდასახდელად კენჭი უნდა იყარონ. ამ რიცხვიდგან ჯარში წაყვანილი იქმნება 100 კაცი.

*** დღეს, 20 სექტემბერს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო კითხვების სადგომში ქართული სახალხო წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ცაგარლის პიესას „ციმბირელს“. ამ სეზონში ეს პირველი სახალხო წარმოდგენა იმართება.

*** კახეთიდგან დაბრუნდა ტფილისში ცნობილი მოგზაური ბარონი დე-ბაი. დე-ბაი, როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, კახეთში საეტნოგრაფიო საკვლევ-საძიებლად იყო. მოგზაური ერთს თვეს კიდევ დაჰყოფს ჩვენს მხარეში.

*** გუშინ-წინ, 18 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა საქმე სამსახურს გარეშე მყოფის პოლკოვნიკის ილარიონ გოგნიაშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ სიტყვიერად შეურაცხება მიაყენა ქ. ტფილისის პირველ მომრიგებელ-სასამართლოს ბოქაულს ხარკევიჩს მის მიერ თანამდებობის აღსრულების დროსაო. სასამართლომ დამნაშავედ სცნო რა გოგნიაშვილი, დაადგინა გადახდეს მას ჯარიმა 25 მანეთი, ხოლო თუ ამის გარდახდა ვერ შესძლო, ხუთის დღით დაპატიმრებულ იქმნას სამხედრო ჰაუპტვახტში.

*** რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „კავკასიის საბაღო მცენარეთა კრების ბიურო სთხოვს ყველას, ვისაც ჰსურს წარუდგინოს კრებას, რომელიც 6 ოქტომბერს დაიწყება, მოხსენებანი, დააჩქაროს ამ მოხსენებათა გამოგზავნა, რათა დროზედ იქმნას დაბეჭდილი.“

*** იგივე საბაღოსნო საზოგადოება სთხოვს ყველას, ვისაც კავკასიის საბაღო მცენარეთა შესახებ შეუდგენია რამ წიგნი, გაუგზავნოს იგი ამ საზოგადოების გამგეობას. ეს წიგნები საზოგადოებას სჭირდება საბაღო მცენარეთა გამოფენისათვის, რომელიც 1—15 ოქტ. იქმნება გამართული. ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ თუ წიგნის პატრონი გამოგზავნილს წიგნს ვერ შესწირავს საზოგადოების წიგნთ-საცავს, იმ შემთხვევაში იგი პატრონს უკანვე დაუბრუნდებაო.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“-ი სწერს, რომ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს საქმის-მწარმოებელის თანამდებობაზედ ჰნიშნავენ ბ-ნ კოვალენსკის, რომელსაც იურიდიული განათლება აქვს მიღებული.

*** გაზ. „ახ. მიმ“. პეტერბურგიდგან სწერენ, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში შეტანილ იქმნა პროექტი იმ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის წესდებისა, რომელიც აზრადა აქვთ ქუთაისში დააარსონ. ამ ამხანაგობას სახელად „კოლხიდა“ ეწოდება.

*** სურამიდგან სწერენ რუსულ გაზეთებს, რომ 16 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, შორაპნის მაზრის, სოფელ ჩდილის მცხოვრებელმა აზნაურმა დ. ნემსაძემ, შეარაღებულ ძმებისა და ამხანაგების დახმარებით, მოიტაცა სოფ. ქვიშხეთიდგან აზნაურის ქალი თამარა ყიფიანი იმ აზრით, რომ ცოლად შეირთოო.

*** დ. სურამი. სურამში წელს საავარაკოდ აუარებელი ხალხი ჩამოვიდა; ბორჯომის სიძვირეს ბევრი მოერიდა და მთელი ზაფხული აქ გაატარეს. სურამის ციხე ჰყოფს ამ დაბას ორ ნაწილად: ძველ-დაბად და ახალ-დაბად. მშვენიერად არის ახალი დაბა გაშენებული მაღლობზედ რკინის გზის სადგურის გარშემო, მდიდარის ჰაერით და წყლით შემკული. ძველი-დაბა-კი ქოხმახებისაგან შესდგება და იქ სომხები და ებრაელები სცხოვრობენ. ებრაელების ქუჩაში სახლების წინ გავლა შეუძლებელია: ყოველგვარ უსუფთაობას შეხვდებით. სირცხვილი კია, რომ არც ბოქაული და არც „სანიტარები“ ყურადღებას არ აქცევენ ასეთს უსუფთაობას, რომელიც სწამლავს სურამის სალს ჰაერს. წელს აქ რამდენიმე ათასი ჯარის-კაცი იყო დაბანაკებული. აფიცრები ხშირად ჰმართავდნენ საღამოებს მუსიკით და ართობდნენ მეაგარაკეებს. სურამში თითქმის 13 წელიწადია არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და არ მოხერხდა მისი ორკლასიანად გარდაკეთება. ნუ თუ ეს ერთად ერთი ერთკლასიანი სასწავლებელი აკმაყოფილებს სურამელების სწავლა-განათლების წყურვალს! სომხებსაც აქვთ თავისი ერთკლასიანი სასწავლებელი. დ. სურამში სამკითხველოც არსებობს.

*** კიპროსის ქალაქ ლარნაკიდგან სწერენ გაზ. „მშაკს“, რომ აგვისტოში აქ 1,129 დუხაბორი მოვიდაო; დუხაბორების მოსვლას კიდევ მოელიანო.

*** ბორჩალოს მაზრის სოფელ გომარეთის სკოლის მასწავლებელი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ გორის მაზრის ს. წინარეხის სკოლაში გადაიყვანა, ხოლო იმის ადგილას დანიშნულ იქმნა ახალი მასწავლებელი ბ-ნი კლიმიაშვილი.

*** ქუთაისიდგან სწერენ „ახ. მიმ.“: „აი იმისი მაგალითი, თუ რამდენად ცუდად ადევნებენ თვალ-ყურს ქუთაისის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში მყოფთ. ამ საავადმყოფოში, სხვათა შორის, არის ოზურგეთის მაზრის მცხოვრებელი ცოცო ურუშაძე, რომელსაც თავისის ბავშვის მოკვლის ბრალი ედება. ურუშაძეს მიჩენილი ჰყავდა ვიღაც ქებულაძე, რომელსაც თვალ-ყური უნდა ედევნებინა, რომ ავადმყოფს არაფერი ჩაედინა. სექტემბრის 15-ს ქებულაძემ თავი დაანება ავადმყოფს და ოთახიდგან გავიდა. ურუშაძემ, რა-კი დაინახა, რომ ოთახში არავინ არის, სტაცა იქვე წუმწუმის კოლოფს და წუმწუმას სათითაოდ

---

ბევრი და ბევრი შრომა სჭირიათ და უმთავრესი შეგნება თავისის დანიშნულებისა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

მამაკაცები რაღას წარმოადგენენო, იკითხავთ. აქ სულ სხვა განაწილებას ვხედავთ. უმთავრესი განაწილება გახლავთ შემდეგი: ა) საქმის კაცნი და ბ) უსაქმურნი; პირველები ჰმსახურებენ, ჯამაგირს იღებენ, სცხოვრობენ ასე—„არც აქეთ და არც იქით“. ამათ შორის ბევრი საზოგადოების საქმეებშიაც არის გართული და იქ, საიდგანაც სარგებლობას არ გამოელიან, სიტყვით ბევრს რასმეს აკეთებენ. რასაკვირველია, არიან ისეთები, რომელთაც საზოგადოების წინსვლა პირველ საგნად მიაჩნიათ სიტყვითაცა და საქმითაც. ამ პირველ რიგის კაცთა მოქმედების ნიმუშად ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანო.

ეს მოხდა ივლისში. ქუთაისში, როგორც მოგეხსენებათ, კოტე მესხის ტფილისში გადასვლის შემდეგ შედგა მუდმივი ამხანაგობა, რომლის მოქმედებას მოჰყვა ადგილობრივ დრამატიულ გამგეობის დაარსება. ეს გამგეობა მესამე წელიწადია, რაც განაგებს თეატრის საქმეს. პირველ წელს გამგეობამ საუცხოვოდ წაიყვანა საქმე. წარმოიდგინეთ, რამდენიმე ასი მანეთი ტფილისის დრამატიულ გამგეობასაც მიაწოდა. მეორე წელს სულ სხვაფრივ დატრიალდა საქმე. რადაო?—იკითხავთ. საზოგადოება ისევ თანაგრძნობით ექცეოდა, ისევ ხელს უწყობდა თეატრს მეორე წელსაც, მაგრამ დეფიციტის მეტი არა ყოფილა რა. არტისტები ბევრი მოითმდურეს და სხვა. რად მოხდა ასეთი ზარალი? ამის მიზეზი ისევ გამგეობის წევრთა შორის უნდა ვეძიოთ. ვინც აკვირდებოდა, ადვილად მიხვდებოდა, რომ პირველ წლის გამგეობას ჰქონდა ის, რაც მეორე წლის კომისიას აკლდა. მართალია, აქაც იყო ორი მხნე კაცი, მაგრამ რაც უნდა იყოს, მთლად გამგეობა პირველთან შედარებით ბევრად და ბევრად სუსტი იყო. ზაფხულში მომხდარ კრებაზე გამგეობას ჰსურდა საზოგადოებისთვის აეხსნა მიზეზი დეფიციტისა, მაგრამ კრების დღეს აიხსნა მხოლოდ იმის წევრთა გამოუცდელობით მოქმედება. სადაც ისინი მიზეზს ჰხედავდენ, იქ იყო მიზეზი, მაგრამ ის მიზეზი თავისის წყალობით, გამოუცდელობით შექმნილიყო. თუმცა ყოველივე ეს ნათლად წარმოუდგა საზოგადოებას, მაგრამ ისევ იმათ (უკანასკნელ გამგეობის წევრთ) დაუწყეს ხვეწნა-მუდარა დარჩენილიყვნენ გამგეობაში. ქუთაისელებს ყველგან თავისებურად მიჰყავთ არჩევანების საქმე. არჩევანებამდის წევრებს თუ სხვა უფრო დიდ კაცს ჰკიცხავენ, აგინებენ, ითვალისწუნებენ მათ ბრალს და ბოლოს ისევ დამნაშავე და გალანძღულნი რჩებიან საქმის სათავეში.

ამ ზაფხულის სხვა-და-სხვა საქმიანობაში სტუდენტებიც „საქმიანობდნენ“. მართლა, რას აკეთებენ საზოგადოდ ზაფხულში ჩვენში სტუდენტები? ბევრს რასმე—ცალის თვალით თუ შეხედავთ, და არაფერს—ორივე თვალით თუ დააკვირდებით. ქუთაისში ამ ბატონებს ჰხედავთ იქ, სადაც უსაქმურნი იყრიან თავს. ამ ადგილს აუცილებლად დილიდგან სადილობამდის, ნასადილევიდგან შუაღამემდის იყრიან თავს სიცხე მტვერში, დასეირნობენ ბულვარში და რას და რის შესახებ ლაპარაკობენ, ღმერთმა უწყის; საჭიროსას-კი მაინც და მაინც არაფერს ამბობენ. რის გაკეთება შეუძლიანთ ამ ქართველ სტუდენტებს ზაფხულში ჩვენში? უმთავრესად თავისის ქვეყნის გაცნობა, თუნდა თავისს ახლო-მახლო. მაგრამ იმათ ეზარებათ, არ უნდათ, თორემ ასრულება ადვილია. ნუთუ ათიოდე სოფლის დათვალიერებას, თავისის ქვეყნის შვილთა გაცნობას ქუთაისის ცხელის მტვერის ყლაპვა სჯობია. ამას სტუდენტობის დროს არა სცდილობენ, სწავლის დამთავრების შემდეგ არა სცალიანთ და ბოლოს არ იციან რის ცოდნაც იმათს ვალდებულებას შეადგენს, თუ გადაგვარება არ უნდათ. ასეთმა სტუდენტებმა ჩინეთის ამბები უფრო იციან, ვიდრე ჩვენის ხალხისა. მე გეტყვით, მასალას ვერ ჰპოვებენ მოგზაურობის დროს. აიღეთ ხალხის იურიდიულ ჩვეულებათა გაცნობა და შეგროვება, რაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ყველას. აიღეთ ხალხის სოციალურ-ეკონომიურად შესწავლა ცოტაოდნად მაინც. იმისი გეგმა ათასობით არის დაბეჭდილი რუსულად და სხვა ენებზე, უკანასკნელის პროგრამა ქართულადაც მოიპოვება. ამის გაკეთებას ადვილად შესძლებდნენ, მაგრამ სურვილი სადაც არ არის, იქ მოქმედებას რა გამოიწვევს! არაფრის გაკეთება და უსაქმურობა ქართველ სტუდენტისა საკუთარ ქვეყანაში ოთხის თვის განმავლობაში მიუტევებელი ცოდვაა...

ეხლა ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ მეორე რიგის მამაკაცები და მერმე ვნახოთ, სად და რას შეექცევა ქუთაისის ახალგაზრდობა.

მეორე რიგის მამაკაცები, ე. ი. უსაქმურები, გახლავან ისინი, რომელთაც არაფერი საქმე არა აქვთ, სხვისის ნაშოვნის გაფლანგვის გარდა. ესენი აგირავებენ მამულს სახელმწიფო ბანკში, იღებენ ახალს არ გადასახდელს სესხს და ეძლევიან ლხენა-ქეიფს, რომელსაც ხშირად მოსდევს ციმბირში თავ-ამოსაყოფი მოქ-

მოკიდება დაუწყო. ამ დროს ერთი მოკიდებული წუმწუმა ტანისამოსზედ დაეცა. ცოტა ხანს უკან ცეცხლი ავადმყოფის ქალის ტანისამოსს ყოველ მხრიდგან მოედო. უბედური ქალი ცეცხლში დაიწოდა, დროზედ რომ არ მიესწრნოთ და არ ჩაექროთ. ტანი ურუშაძეს შეტრუსული აქვს ცეცხლისაგან და საეჭვოა, რომ მორჩეს".

## სიღნაღის საბჭოს კრება

1 სექტემბერი

(დასასრული *)

მამასახლისი. სიღნაღის გზა გაფუჭებულია, გავლა გამოვლა ფურგუნურმებისა ჯერ ეხლაც ძნელია და რო გაავდარდება, აბა მაშინ რაღა იქნება. გაკეთება უნდა მაგ გზას, თორემ თან და თან იქცევა და კლდეც ჩამოდის ზევიდგან. შარშან-წინ ამ კლდის მიზეზით დაცალეს ა. ო. ამირხანოვის სახლები, რომელშიაც სასამართლო იყო მოთავსებული, ამ სახლებს კლდე ძალიან მოუახლოვდა და კლდის მხრივ სახლის კედელი გარღვეულია. ამ გზას ეხლავე უნდა შველა, თორემ მერე გვიანღა იქმნება.

ხმ. ა. ს. შავერდოვი. ჩვენ რომ გავაკეთოთ ეს გზა, იქნება თვალისთვის ლამაზი გამოვიდეს, მაგრამ ვაი თუ ეს სილამაზე დღე მოკლე გამოდგეს და ფულიც უბრალოდ გადავყაროთ. უმჯობესი იქნება, ინჟენერ-ტეხნიკოსი მოვიწვიოთ ტფილისიდგან ჩვენის ხარჯით და იმან გვიჩვენოს გზის გაკეთების წეს-რიგი. ჩვენც რჩევა დარიგებისამებრ გავაკეთოთ. ამ წინადადებამ არივ-დარია ხმოსნები; ისეთი ხმაურობა ასტყდა, რომ ერთმანეთისა არა ესმოდათ რა.

მიხ. პაატოვი. სადა აქვს ქალაქს ინჟენერისთვის ფული? ის არა სჯობია, რომ ნაგავი ჩავყაროთ და ისე ამოვავსოთ ის ღრანტე?

ვთხოვოთ მთავრობას და ექიმს ნება დაგვრთონ, რომ რაც იმ გზის ახლო-მახლო ბაკებია, იმათი ნაგავი და სხვისაც სულ იქ ჩავყაროთ. იმ ნაგვით რომ ღრანტე აივსება, გაკეთდება, მაშ რა მოუვა.

ა. ს. შავერდოვი. ნაგავი და შუა ქალაქი? ნაგავი როგორ შეიძლება!

ა. ო. ამირხანოვი. ჩემის მხრივ სამასს მანათს შევეწევით მაგ საქმისთვის, ოღონდ-კი საფუძვლიანად გაკეთდეს.

მამასახლისი. ვისესხოთ ფული და დროზედ შევუდგეთ გაკეთებას.

ს. ა. ოთაროვი. ვიდრე ვისესხავთ, იმდრომდე ორი წელიწადიც გაივლის და ეგ კლდე-კი ჩვენ არ დაგვიცდის. განა ქალაქი ისე დაეცა, რომ ერთი რაღაც ღრანტე ვერ გაიმსოს. გავაწეროთ ფული, მოვაგროვოთ და გავაკეთოთ.

ხმა ისმის: ფულის გაწერა მარტო მოქალაქეებზედ შეიძლება და კეთილშობილებზედ-კი არა.

ამ. ს. შავერდოვი. აქ ყველა ძმები ვართ. გზა ყველას უნდა, როგორც მოქალაქეს, ისე თავად-აზნაურსაც. ჩემის აზრით იმათ უფრო მეტი უნდა გაიღონ გზებისთვის ფული. განა მარტო მოქალაქენი სარგებლობენ გზით? ეს როგორ იქნება?

ხმ. მ. პაატოვი. არა, არც გაწერვა და არც სესხი. მე ამის თანახმა არა ვარ. ჩემის აზრით ნაგავი უნდა ჩაიყაროს, ღორღი და ფიჩხი (სიცილი გაისმის).

საბჭოს უმეტესობამ დაადგინა, ინჟენერი იქმნას მოწვეული.

მამასახლისი. დაადგინთე—რამდენი უნდა შევაწეროთ მაგარ სასმელების მოვაჭრეთ ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი.

ოთაროვი. ისევ 800 მან. დარჩეს, რამდენსაც შარშან იხდიდნენ.

ა. ს. შავერდოვი. შარშან 800 მან. იხდიდნენ, იმიტომ, რომ ღვინო ძვირი იყო; წელს-კი ვენახებს კარგად ასხია, ღვინოც იაფი იქნნება და არა უშავს რა, რომ 1,000 მან. შევაწეროთ.

მ. პაატოვი. ასი თუმანი იყოს, ასი!

ოთაროვი და ყაჯარდუზოვი. ძალიან ბევრია!..

ნ. ნადირაშვილი. ბევრია 1000 მან. ცოდონი არიან, ისევ 800 მან. შევაწეროთ.

ს. ბაღუფოვი. 800 მან. იყოს.

ნ. ოუკაკიმოვი. 800 მან. იყოს.

ეს წინადადება შეიწყნარა საბჭოს უმრავლესობამ.

მოურავი. კარგად იცით, რომ ყაზარმისთვის სახლია საჭირო, და როტის უფროსმაც გამოგზავნა ამის შესახებ ქაღალდი. ყაზარმად გვაქვს დაქირავებული ბ-ნ მ. ბ. შავერდოვის შენობა, წელიწადში 1000 მანათად; ამ თვის რვაში ვადა გასდის. ეხლა ბ-ნი მ. ბ. შავერდოვი გვთხოვს წელიწადში 1,200 მან. რას იტყვით, დავიქიროთ ამ ფასად, თუ არა?

ა. ი. ყაჯარდუზოვი. ოჰ, ძვირია, ძვირი! კოსტა არუთინოვი მოვიდა გუშინ ჩემთან სწორედ მაგ საქმის შესახებ. იმას უნდა თავის სახლები მოგვცეს ყაზარმებად და ისა ვნახოთ.

ა. ს. შავერდოვი. კოსტა არუთინოვის სახლები არ იყო, რომ სასამართლომ დაცალა? თუ კარგი იყო, რაღ დაცალეს? გარდა ამისა, საშინელი ნამიანია და აბა იქ ჯარის-კაცთ ვინ დააყენებს?

მ. ბ. შავერდოვი. რადგანაც მე შემეხება ეგ საქმე, გთხოვთ მე გარედ გასვლის ნება მომცეთ.

მამასახლისი. მიბრძანდით.

ხმოსნები. სხვაგან ვნახოთ სახლები; განა სხვაგან სახლები არ არის?

მამასახლისი. ვიდრე ჩვენ სხვაგან ვნახავთ, იმ დრომდე ვადაც გავა, ვაი თუ სხვაგან ვერ ვიშოვოთ და ესეც ხელიდგან წაგვივიდეს. მაშინ რაღა ვქნათ? მოვურიგდეთ ისევ ამ კაცს.

ს. ა. ოთაროვი. ვთხოვოთ, ისევ ისე მოგვცეს, როგორც აქამდე გვექირა.

მიხ. პაატოვი. ეს სახლები, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, ადრევე 700 მან. გვექირა, ეხლა ვაძლევთ 1,000 მან., მეტი რაღა უნდა. ვადა რომ მოახლოვებულია იმიტომ, თორემ განა მართლა სხვაგან არ არის სახლები? ვნახოთ კოსტას სახლები, იქნება კარგია.

ხმოსნები. ვთხოვოთ, ისევ 1000 მან. მოგვცეს.

მ. ბ. შავერდოვი. თქვე დალოცვილებო, იმდენი ხარჯი მომდის მაგ შენობაზედ, რომ ეგ 800 მანეთი არც-კი მყოფნის: ეს შეკეთებაო, ეს დასაფასებელი გარდასახადი და სხვა მრავალი. მე რიღას მოხელე ვარ, თუ რამდენ ქირასაც ავიღებ, ის იმ შენობას არც-კი ეყოფა. ბარემ ისევ ისე ეგდოს, არა სჯობია.

ხმოსნები. მაშ ისევ კოსტა ვნახოთ.

მამასახლისი. დააჩქარეთ ეგ საქმე კოსტასთან იქნება, თუ სხვასთან. სახლი საჭიროა; იცოდეთ, რომ რვა ამ თვეს ვადა გადის.

კრება დაიშალა საღამოს $11^1/_2$ საათზედ.

დამსწრე

*) იხ. „ივერია", № 201.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსეთის სატახტო ქალაქების გაზეთებში სწერია:

საერო განათლების სამინისტრო თანაგრძნობით მოეპყრო ტფილისში საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების საქმეს. რაც შეეხება ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსებას, ეს საქმე, სამწუხაროდ, არა გვგონია, რომ განხორციელდეს, ამ ახლო მომავალში მაინც, თუმცა კავკასიის გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების დიდი იმედი არისო. ამ საქმეს აბრკოლებს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ ორი ახალი პოლიტეხნიკუმი უკვე დაარსდა რუსეთში, ერთი კიევში და მეორე ვარშავაში. მეორე-პეტერბურგისა, მოსკოვისა და ხარკოვის უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლებში ეხლა უფრო მომეტებული შეძლება ექმნებათ მსურველთ უმაღლესის სატეხნიკო სწავლის მიღებისა. გარდა ამისა ძლიერ ძნელი იქმნება კიდევ ერთის უმაღლესის სატეხნიკო სასწავლებლისათვის პროფესორებისა და მასწავლებლების შოვნაო.

## რუსეთი

—

ბარონმა ლენვილენმა შესწირა 90,000 მანეთი ვარშავაში საჰიგიენო ინსტიტუტის დასაარსებლად ყველა წოდების, ეროვნების და სარწმუნოების კაცთა შვილებისათვის. ამ ინსტიტუტში უმთავრესს ყურადღებას ბავშვთა ფიზიკურად აღზრდას მიაქცევენ.

— სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტთან დარსებულ სამოსწავლო კომიტეტს აზრადა აქვს ყველა სავაჭრო სკოლისათვის ერთი საზოგადო პროგრამა შეიმუშავოს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ქალაქის საქმეთა საკრებულოებმა, ქალაქის საბჭოთა იმ დადგენილების განხილვის დროს, რომელნიც სწავლა-განათლების საქმეს შეეხება, მოიწვიონ ხოლმე სახალხო სასწავლებელთა ადგილობრივი დირექტორი და სამოსწავლო ოლქის სხვა მოხელენი.

— რათა შვილების აღზრდის შეძლება მისცენ რკინის გზებზე მცირე ჯამაგირის პატრონ მოსამსახურეთ, ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ქალაქებში რკინის გზის ხარჯით დაარსებულ იქმნას ამ მოსამსახურეთა მოსწავლე შვილებისათვის საზოგადო საცხოვრებლები.

— ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ხ. პ. სოლსკის აზრადა აქვს ოდესაში დააარსოს აღმოსავლეთ ენათა კურსები. ამ კურსზედ ასწავლიან ჩინურსა, იაპონურსა, არაბულსა და ოსმალურს ენებს.

— პეტერბურგში დააარსეს სასწავლებელი ჰკუა-ნაკლებთა და ბნედიანთათვის. სასწავლებელში სწავლა ამ დღეებში დაიწყება. მიიღებენ სასწავლებელში ჯერ-ჯერობით მხოლოდ რვა კაცს. სწავლის კურსი დამოკიდებული იქმნება იმისაგან, რა უნარსა და ნიჭს გამოიჩენენ მოსწავლენი. სწავლა-დამთავრებულთ ისეთივე უფლებანი ექმნებათ, როგორც ქალაქის პირველ დაწყებითის სასწავლებელში გათავებულთა აქვთ. ასეთი სასწავლებელი პირველია რუსეთში.

— გაზ. „Жизнь и школа"-ს სიტყვით, სასულიერო უწყებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ყველა სასულიერო სასწავლებელთან დაარსებულ იქმნას წიგნთ-საცავი, საიდგანაც მღვდლებსაც შეეძლებათ წიგნების წაღება.

— გზათა სამინისტრომ წინადადება მისცა რკინის გზათა გამგეობათ გაჰმართონ სადგურებზედ განსაკუთრებული ოთახები მგზავრთა ნივთების დროებით შესანახად. ამ ოთახების გამგეთ ნება ექმნებათ გამოართვან ნივთების პატრონთ ერთის დღის შენახვისათვის თითოულ ადგილისა 5 კაპეიკი, ხოლო თუ მეტი ხანი დარჩება 15 კაპ. ამასთან რკინის გზა პასუხს არ აგებს, თუ ნივთი დაიკარგა, ან გაფუჭდა.

— „Бирж. Вѣд."-ი იუწყება, რომ დინამიტის გამომგონმა ნობელმა 10 მილიონი ფრანკი უანდერძა იმას, ვინც მშვიდობიანობის დამყარების

---

მედება. ამათ შეუძლიანთ წესიერ ცხოვრებით ბევრი რამ ჰქმნან კარგი. მაგრამ სად არის.... გული უკვდება კაცს, როცა ჰხედავს ჯანსაღს, მშვენიერ სანახავის ახალგაზდა ქართველს უსაქმურად, ღმერთმა უწყის როგორს ამხანაგებში გართულს! ურთიერთის აყალით, ვინ იცის, სადამდის მიდიან! დღე არ გავა, რომ არ გაიგოთ ახალ-ახალი ამბავი ამათ შესახებ: აქ ამან ის დაჩეხა, იქ-იმან ეს მოჰკლა, აქ ესა და ეს ცოლი ან ქალიშვილი მოიტაცეს და ხუთის დღის შემდეგ დაიჭირეს. და ყველა ეს საქმე-კი სამწუხარო და სავალალოა.

ავიღოთ ყველანი, საქმის პატრონნი და უსაქმურნი, ნასწავლნი და უსწავლელნი, ახალგაზრდანი, სტუდენტებიც ზედ მივუმატოთ და ვკითხოთ: სად ატარებენ დროს ეს ბატონები?

ქუთაისში, სხვას რომ თავი დავანებოთ, თითქოს განგებ, საჩვენებლად, რომ ჩვენც სხვას უკან არ ჩამოვრჩენილვართო,—შუა გულს ქალაქში, ქალაქის ბაღის პირ და პირ ტაძრის გვერდით, მეორე სართულში, თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულია კლუბი. დაღამდება თუ არა, კლუბში იწყება ბანქოს თამაში. „პიკ" „კოროლ", „ბუბნა", „ტუზ", „ჩერვა" და სხვ. ყურებს გამოგიჭედავს, თუ იქითა მხარეს ჰზიხარ ბაღში.

ეს კიდევ არაფერი, ამაზედ უფრო დიდად საჭირო დაწესებულება ბულვართან ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიის გვერდით არის. ეს დაწესებულება რომ არ არსებობდეს, ქუთათურებს საქმით მოქანცვის შემდეგ რაღა ეშველებოდათ! ეს არის სამოთხე, სადაც მთელი დღე საქმით დაღალული კაცი, მხოლოდ ქუთაისელ საქმიანობით, შედის და ეძლევა დასვენებას ბილიარდისა, ნარდისა და სხვათა ხმაურობაში. აქ, ამ დაწესებულებაში დილიდგან შუაღამემდის ჰხედავ ყველას, ვისაც არაფრის გაკეთება არა ჰსურს. დიდი ვრცელი ოთახი სავსეა მოწინავე საზოგადოების წევრებით, რომელთაც „ინტელიგენცია" ჰქვიან და რომელთაც გვერდით უდგა მთელი დასი სტუდენტობისა. აი, აქ იყრიან ყველანი თავს და აქ ატარებენ დღეებს ცალიერ სიტყვების რახა-რუხში, ვიდრე ნარდი ან ბილიარდი განთავისუფლდებოდეს, რომ აღტაცებით ეცნენ. რამდენჯერმე უთქვამს ჩემთვის უცხო ერის წარმომადგენელ ინტელიგენტს: რას აკეთებენ ნეტა ეს ხალხი აქ? ნუ თუ საქმე არა აქვთ-რა, ნუ თუ თავისი სიცოცხლე ამ თავ-შექცევას უნდა მოანდომონო. რა უნდა მეთქვა. ამ დაწესებულებისთვის დაურქმევიათ „გასართობი". ეს გახლავთ უმცროსი შვილი მეორე სართულში მყოფ კლუბისა. იმედია, ქუთაისის საზოგადოება და მასთან ერთად საზაფხულოდ ჩამოსული ახალგაზდობა გასართობის პატრონთ ძეგლს დაუდგამენ და ოქროს ასოებით წააწერენ შემდეგს:

> ქუთათურ საქმით, შრომით დაქანცულთ
> მხოლოდ შენ მოგვეც ჩვენ „გასართობი,"
> ცხონება შენს სულს; ქება შენს სახელს:
> აწ არ დაჰფარავს ჩვენს ჭკუას ობი.

ამათის ჭკუისა რა მოგახსენოთ და ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობას-კი ობი აქვს ბლომად მოკიდებული. როგორც მითხრეს, ორი წლიწადია დაფანტულ ანგარიშებს ასწორებენ. მაგრამ არა უშავს რა, ასეთის ობის წამალი მესამე დასელებს აქვს ბლომად. მესამე დასელები მაინც და მაინც კარგ გუნებაზედ ვერა ვნახე წელს. ბევრი მათგანი არ მინახავს, მაგრამ ვინცა ვნახე, ყველას ეტყობოდა უგუნებობა. გადასხვაფერებულან კი ძალიან: ზოგს ფერი შესცვლია, ზოგს თეთრი გამოჰრევია და ყველას-კი ერთად წასვლია ის, რაც იმათ ძარღვს ამუშავებდა.

ასე და ამ გვარად ქუთათურების ცხოვრება თითქოს ერთ გვარად მიმდინარეობს. თითქოს ყველანი ერთნაირად სცდილობენ, ერთგვარად ატარებენ დროს და წარსულისა, აწმყოსა და მომავლის შესახებ ერთის საზომით ლაპარაკობენ, მაგრამ ბრძოლა და დას-დასობა აქაც არის. არ იფიქროთ, ისეთს დასებს ვამბობ ეე, როგორითაც ევროპის სახელმწიფოებს თავის-მოწონება შეუძლიანთ, არა, ევროპაში საუკეთესო დასებთ თუ დაჩაგრულთა ბედის გაუმჯობესება უწერიათ თავისს დროშაზედ და ამ აზრით ჰშრომობენ, ქუთაისში დაჩაგრული, დაჯაბნული, მუშა ხალხი და სხვა ამისი მსგავსი დასებისათვის ცხრა მთას იქით გადაკარგულა და ადგილი დაუთმია პირად მისწრაფებისათვის, პირად გაბატონებისა და ურთიერთის შესახებ მითქმა-მოთქმისათვის. კირილისტები, ლოლვისტები, კალისტრატისტები ვინ არიან, რა არიან, ამის შესახებ ლაპარაკი რა საჭიროა, როცა ყველამ ძალიან კარგად იცის. ამათ შესახებ ჩვენი გაზეთები-კი არა, რუსეთის სატახტო ქალაქების გაზეთები ჰლაპარაკობენ და მეტი ქება-დიდება რა საჭიროა!.

ხომ ჰხედავ, მკითხველო, ქუთაისში რა ამბები ყოფილა, რასაც წარმოადგენს ეს პაწია საქართველოს ქალაქი. ამაზედ უკეთესი, ამაზედ ბევრად უფრო მომხიბლველი მხარე შეგვეძლო მოგვენახა, მაგრამ ქუთათურებს ნამეტნავი აპარტავნობა და თავ-მოწონება უყვარს და მეშინიან: ვინ იცის, იქნება ისე გადიდგულდნენ, რომ ფარსაგი არაფერი ეგონოთ თავიანთი თავი. ამიტომ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.

მ—ა—ბ—ე

საქმეს რაიმე დიდად შესამჩნევ სარგებლობას მოუტანს. მშვიდობიანობის საზოგადოებამ გარდასწყვიტა, ეს ფული მიართვას მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას რუსეთის იმპერატორს, რომელმაც მშვიდობიანობის დამყარების საქმეში დიდად სულ-გრძელი მესვეურობა იკისრა.

— საერო განათლების სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების შემდეგ განმარტა, რომ მოქალაქეთა წოდების მასწავლებელთ, რომელთაც სამოსწავლო სემინარია აქვთ დამთავრებული, უნდა გარდაიხადონ ხოლმე ის გარდასახადები, რომელსაც საზოგადოდ მოქალაქენი იხდიან იმ დრომდე, ვიდრე პირადს საპატიო მოქალაქის წოდებას არ შეიძენენ.

— გაზ. „Нов. Вр.“ იუწყება, რომ აკადემიკოსი თავ. ი. პ. თარხნიშვილი ოქტომბრიდგან საპედაგოგიო მუზეიში დაიწყებს ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის კურსების კითხვასაო. თარხნიშვილი წაიკითხავს სულ 20 ლექციას, კვირაში ერთს. ყოველი ღონე ნაღონებია, რომ ეს ლექციები ყველასთვის მისაწვდენი იყოს, როგორც კერძო კაცებისათვის, ისე საშუალო და მაღალ სასწავლებლებში მყოფ მოსწავლეთათვისაო.

— წელს საიმპერატორო საისტორიო დი საფილოლოგიო ინსტიტუტში მიღებულ იქმნა 32 კაცი, მათ შორის 10 გიმნაზიაში აქვს სწავლა-დამთავრებული და უეგზამენოდ მიიღეს, დანარჩენნი, რომელთა შორის უმრავლესობა სემინარიაში სწავლა-დამთავრებულნი არიან, რუსულსა და ძველს ენებში გამოსცადეს.

— საიმპერატორო სამხატვრო სასწავლებელში წელს მიღებულ იქმნა 117 კაცი.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საფრანგეთში სენატორის რამბოს მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა ქალაქ ბეზანსონში. რამბო, როგორც ვიცით, საერო განათლების მინისტრად იყო მელინის მინისტრ-პრეზიდენტობის დროს. რამბოს უთქვამს: ბრისსონი ძლიერ შესცდა, რომ დრეიფუსის საქმეს პოლიტიკური მნიშვნელობა მისცა და საფრანგეთის მხედრობას თავისის საქციელით სახელი გაუტეხა ქვეყნის თვალშიო. როგორც სხვა ჩემმა ამხანაგებმა მელინის სამინისტროში, მეც კარგად ვიცოდი, რა სიყალბე ჩაიდინეს ანრიმა და სხვებმა დრეიფუსის საქმეში, მაგრამ უმჯობესია, — ამის შესახებ ხმაც არ ამოვიღოთო.

ამ სიტყვების გამგონე რადიკალთა დასის დეპუტატი ტრამიუ წამოვარდნილა ზეზედ და რამბოსათვის შეუძახია: ოპო, იცოდით, სიყალბის ჩამდენნი ვინც იყვნენ, და კრინტი კი არ დასძარით, რომ არხეინად განეგრძოთ თავიანთი სისაძაგლე! რაღა თქმა უნდა, ქვეყნის დიდი გულ-შემატკივარი ბრძანებულხართო!

—

**სერბია.** უკვე ვიცით, რომ სერბიის მეფის ალექსანდრეს მამა მილანი დიდი ხანია, რაც სერბიაში სცხოვრობს და ამ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში ერევა. ეხლა ზოგიერთმა გაზეთმა ხმა გაავრცელა, რომ ვითომც მილანს აზრადა ჰქონდეს, — ჯარის შემწეობით თავისი შვილი ტახტიდგან ჩამოაგდოს და თავისი თავი გამოაცხადოს სერბიის დიქტატორად. ზოგიერთ გაზეთებს არა სჯერა ეს ხმები და ამტკიცებენ, — უფრო მოსალოდნელია, რომ მილანი სერბიას თავს დაანებებს და პარიჟში წავაო. ამ გაზეთების სიტყვით, მილანს მოლაპარაკებაც-კი გაუმართავს რადიკალ და ლიბერალ დასთა მეთაურებთან, — რამდენს მომცემთ, სერბიას რომ თავი დავანებოვო. ამ ხმებთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს იმ ცნობასაც, რომ ვითომც ბელგრადში აპირებდეს მისვლას სერბიის დედოფლად ნამყოფი, მილანის მეუღლე ნატალია. როგორც ვიცით, მილანსა და დედოფალს ნატალიას დიდი უსიამოვნება აქვთ ერთმანეთ შორის და სერბიის ბედ-ბედს ისინი სხვა და სხვა თვალით უცქერიან.

—

**სპარსეთი.** სპარსეთის ეხლანდელ შაჰს ჯერ ევროპა არ უნახავს. ამის მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ იგი ძლიერ არის ავად და ერთის ადგილიდგან ვერ იძვრისო. ეხლა, როგორც ხმა გავრცელდა, შაჰი უკეთ გამხდარა და კიდეც განუზრახავს ევროპის სახელმწიფოების ნახვა. პირველად იგი პეტერბურგსა და მოსკოვს აპირებს თურმე წასვლას, და შემდეგ ბერლინს, ვენას, პარიჟს, ლონდონს და კონსტანტინეპოლში. შაჰს დიდი ამალა ეახლება თურმე თან. ირანის მბრძანებლის მოგზაურობას ევროპაში გაზეთები დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობასა სდებენ.

—

**ჩინეთი.** პოლიტიკური ცვლილებანი ჩინეთში ვერაფრად აკმაყოფილებს ინგლისელებს. საქმე ის არის, რომ ლი-ხუნგ ჩანის პოლიტიკისა დიდნი წინააღმდეგნი იყვნენ ინგლისში, რადგან ამ პოლიტიკას თავიანთ საზარალოდ სთვლიდნენ. ინგლისის ზეგავლენას აწყერენ ამას წინად ლი ხუნგ-ჩანის სამსახურიდგან გადაყენებას და მის ადგილას კანგ-იუმეის დანიშვნას. მაგრამ ამ დღეებში, როგორც ვიცით, ჩინეთის იმპერატორი მისი პირველი კაცი კანგ იუმეი გადაყენებულ იქმნენ და მათი ადგილი დაიჭირეს იმპერატრის დედამ და ლი-ხუნგ ჩანმა. ამ ამბავმა ინგლისის საზოგადოება ყალყზედ დააყენა. დიდს მნიშვნელობას აწერენ იმ გარემოებას, რომ ამ დღეებში ინგლისის სამხედრო გემი „Centurion“-ი ვეი-ხაი-ვეიდგან გავიდა რაღაც საიდუმლო ბრძანების შესასრულებლად. ამ გემს სხვა გემებიც უნდა შეუერთდეს. გაზეთები ჰფიქრობენ, რომ ინგლისს აზრად აქვს დემონსტრაცია მოახდინოს ჩინეთის ნაპირებზედ და ეს უკანასკნელი იძულებულ ჰყოს, რომ ინგლისის მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოსო. პეკინიდგან გაქცეულს კინგ-იუმეის ინგლისის გემზედ უპოვნია თავშესაფარი და ამ გარემოებასაც იმითი ჰხსნიან, რომ ჩინეთის ეხლანდელ მთავრობის პოლიტიკას უთუოდ წინააღუდგება ინგლისიო.

# დამკვირდი

მარგალიტნი მარადის უშინაგანესთა საუნჯეთა შინა იცვებიან, ხოლო უკმარნი ნივთნი უბანთა ზედა სკორებს მიმოიდებიან.

ეფრემ ასური

* * *

სჯობს საქმე უკმოდ სიტყვასა უსაქმოს.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

დიდის ამბითა და დღესასწაულითა არც ერთს საქმეს არ უნდა შეუდგეთ: დღესასწაულით უნდა საქმის დამთავრება იუქმოთ.

პიოტე

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვარშავის ერთი გაზეთი სწერს, რომ ლომჟინსკის გუბერნიის ერთს სოფელში ერთს სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე 20 წლის ჭაბუკს ცოლად შეურთავს 40 წლის უსინათლო დედაკაცი. როცა ჰკითხეს, რად შეირთე ცოლად ეგ დედაკაციო, უპასუხა, ადგილ-მამული და ქოხი მე არ გამაჩნია და სახლი, არავითარი ხელობა მე არ ვიცი, დღიურად მუშაობა მე არ მინდა. ეხლა-კი ჩემი ცოლი მოწყალეობას ითხოვს, ორთავესათვის ფულს მოაგროვებს და ამას გარდა იმედიცა მაქვს, რომ ვითარცა ხნიერისა და უსინათლო ცოლის პატრონს ჯარშიაც არ წამიყვანენო.

* * *

ამერიკელის კაცის ახირებულობა ყველამ კარგად იცის. მაგრამ ერთი ამერიკელი ახირებასთან ერთად სითამამესაც არა ყოფილა მოკლებული. ამერიკელი კაპიტანი ვილიამ ანდვერგი ამ დღეებში ეს მეხუთედ გაემგზავრა ნიუ-იორკიდგან ლონდონში მარტოდ მარტო პატარა ნავით. ოთხჯერ გადაუვლია ამ პატარა ნავით ვილიამ ანდვერგს ატლანტიის ოკეანე და ამ მოგზაურობით დიდი სახელიც მოიხვეჭა. ანდვერგს თან მიაქვს მხოლოდ სამის თვის სამყოფი საჭმელი და ბლომად რომი და ლუდი.

* * *

სტოკჰოლმის გამოფენაზე ყოფილა ერთი უზარმაზარი შანდალი, რომელიც, უეჭველია, პარიჟის გამოფენაზედაც იქმნება. ეს შანდალი 16 ადლის სიმაღლეა, ძირი 47 ოთხ-კუთ ფუტის შენობას წარმოადგენს და ამ შენობაში გამართულია სანთლის ქარხანა. ამ ქარხანაში უკანასკნელ დროს 12 საათიდგან საღამოს 6 საათამდე 50 კაცი მუშაობდა და გამოფენაზე მყოფ ხალხს ნება ეძლეოდა ამ ქარხნის დათვალიერებისა. რა თქმა უნდა, რომ ამ შანდლისათვის საგანგებოდ სანთელიც დიდი არის გაკეთებული, სიმაღლით 26 ადლი და სიგანით 2 ადლზე მეტი.

* * *

იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ იტალიელი მეცნიერი მარკონი, რომელმაც გამოიგონა უმავთულო ტელეგრაფი, ამტკიცებს, რომ ელექტრონის ძალით შემიძლიან კარგა დიდს მანძილზე მთელი გემი ავაფეთქოვო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ გემი და გემის სარდაფები, რომლებშიაც თოფის წამალი ინახება, რკინისა იყოს. მარკონის გამოგონება შემდეგია. ზღვის ნაპირას კეთდება მაღალი კოშკი. აქვე გამართულია ელექტრონის მანქანა. გამოჩნდება თუ არა ზღვაში მტრის გემი, ელექტრონის მანქანით გასტყორცნის ელექტრონის ძალას. ელექტრონის ძალა თან-და-თან მოგროვდება გემში რკინის წყალობით, ბოლოს ენთება ელვასავით და თოფის წამალს ააფეთქებს. ეს ამბავი არც თუ ისე დაუჯერებელია, მაგრამ იგივე გაზეთები არ ამბობენ, უცდია თუ არა მარკონის ეს თავისი ახალი და საოცარი გამოგონება.

# სიტყვა და საქმე

(წერილი რედაქციის მიმართ)

1 სექტემბერი

აგერ ნახევარი წელიწადია, რაც ბ-ნი ნათაძე გაჰკივის „ცნობის ფურცლის“ პირველ გვერდზედ თავისს „პავშვების მოკეთეს“ შესახებ, რომ „აუარებელი თანაგრძნობითი, გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და ასე მარჯვეთ უიდვა ამ წიგნისა იძულებულსა მხდიან ამ თანაგრძნობის მიხედვით ამ წიგნის მეორე გამოცემა დავიწყო“-ო და სხ.

წიგნი, რომელიც არც ერთმა ქართულმა ჟურნალ-გაზეთმა არ მოიწონა, წიგნი, რომელიც არც ერთმა სკოლამ არ შეუშვა სასწავლებელში, — ასე იქების და იდიდების თვით ავტორისაგან. ეგ კიდევ არაფერი. ბ-ნი ნათაძე არწმუნებს ქვეყანას, რომ წიგნი მარჯვეთ მეყიდებაო... აქ არა გვეთქმის-რა იმის მეტი, რომ ციფირები იხილეთ და ის გაგცემთ პასუხს. აი ინებეთ: ბ-ნს ნათაძეს დაუბეჭდია 2,400 ეგზემპლიარი. აქედგან „წერა-კითხვის“ მაღაზიას გაუყიდნია — 20 ცალი, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიას — 7, იმედაშვილს — 5 და გრიქუროვისას — არც ერთი. ქუთაისში მ. ხეთერელს გაუსაღებია სამი, ხოლო ბეჟანეიშვილს — 53. ოზურგეთსა, ახალ-სენაკსა და ბათუმში, სადაც ბ-ნ თავართქილაძესა აქვს წიგნის მაღაზიები, გაყიდულა სულ სამი ცალი ათიდგან, რომელიც იმას ტფილისიდგან წაუღია. გორში ორ ცალიდგან ერთი გაყიდულა და ერთი ისევ არის. თელავსა და სიღნაღშიაც ამდენივე გაყიდულა. ხსენებულ ქალაქებში გაყიდულა „რეკლამის“ დაბეჭდამდის სულ 94 ცალი, თითონ ავტორსაც რომ გაეყიდოს ამდენივე სასწავლებელში, სადაც იგი ჰმსახურობს (თუმცა წიგნაკი სახელმძღვანელოდ არ არის მიღებული), გამოვა, რომ „რეკლამის“ გაშლამდის ბ-ნს ნათაძეს გაუყიდნია 200 ცალი 2400 ეგზემპლიარიდგან.

ამის შემდეგ შინაურებსაცა და გარეულებსაც არწმუნებს: მარჯვეთ მეყიდება წიგნიო!

ამას ერთი ის ცნობა უნდა დავუმატო, რომ „რეკლამის“ დაბეჭვდამდის კანტი-კუნტად კიდევ იყიდებოდა, მაგრამ რეკლამის გამოქვეყნების შემდეგ-კი თითქმის სრულიად აღარავინ აღმოჩნდა წიგნის ყიდვის მსურველი.

კოწოლა

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 სექტემბერი.

**პარიჟი.** „Journal“-ი იუწყება, რომ ესტერგაზი პარიჟში დაბრუნდაო.

„Gaulis“-ი სწერს, რომ მთავრობას აზრადა აქვს გამოიყენოს 1793 წლის კანონი, რომლის ძალითაც შეიძლება წიგნაკების აღკვეთა და აღკვეთოს ის წიგნაკი, რომელსაც ესტერგაზი აპირობს გამოცემას, იმ შემთხვევაში თუ წიგნაკში გამოქვეყნებული იქმნება ისეთი რამ, რის გამოქვეყნებაც სახელმწიფოს საშიშარ მდგომარეობაში ჩააგდებს.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ კაზიმირ პერიემ, რომელსაც მიჰმართეს და სთხოვეს აგვიხსენით რას ჰნიშნას „Dailu NeWs“-ის მიერ ნაამბობიო, მიუთითა იმ სიტყვებზედ, რომელიც მან 8 თებერვალს სასამართლოს წინაშე წარმოსთქვა. „მე არ ვიცი ის ფაქტები, რომელნიც ამ საქმეებს შეეხებიან, — განაცხადა კაზიმირ პერიემ, — ხოლო რაც შეეხება სხვებს, მოვალეობა მაიძულებს ჩუმად ვიყო“.

**ჟენევა.** პოლიციამ დაიპატიმრა ვიღაც უპო რამბონი, რომელსაც იმ ბრალსა სდებენ, რომ იმპერატრიცა ელისაბედის მოკვლის საქმეში წილი უდევსო.

**ლონდონი.** „Times“ დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: „სიკვდილით დასჯილ იქმნენ რეფორმების ექვსი მომხრე, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ იმპერატრიცას-დედას წინააღმდეგ შეთქმულება შეადგინესო; დასჯილთა შორის არიან კან-იუმეის ძმა, ერთი ცენზორი და გუბერნატორის ხუპეს შვილი“.

**იოკაგამა.** შაკი-ბილანადგან (კუნძულ ფორმოზაზეა) დეპეშით იუწყებიან, რომ კან-იუმეი აქ მოვიდა, იგი იაპონიის მოხელეთ შეიპყრესო.

**ვენა.** პალატის კრების დაწყებისას სამჯერ წარმოსთქვეს „hoch“. კანონ-პროექტთა შორის არის კანონ-პროექტთა ენათა ბრძანების გაუქმების შესახებ, აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ ბადენი სამართალში იქმნას მიცემული. კაიზერსა, გოფმანსა და იმათ ამხანაგებს წინადადება შეაქვთ იმისა, რომ ტუნი და მთლად სამინისტრო სამართალში იქმნას მიცემული კანონების ნაცვლად დეკრეტების გამოცემისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 18 სექტემბერი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 215½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 97 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | 101 |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | 100½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 290½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 254½ |

# „ივერიის“ ფოსტა

**ქ. ფ—ი. იანეთის.** თქვენი წერილი არჩევანების შესახებ მეტად დაგვიანებულია. უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

**ქ. ძ—ისი. ი. ჩ—ს.** დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მიჰმართოს თვით ჩ—იანმა.

**ქ. ძ—ნი. პ. ს—ძეს.** თქვენის წერილით „კვალის“ რედაქციას მიჰმართეთ.

**ს. პ—სი. ვ. გ—შვილს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ვ. რ—ს.** ლექსები არ იბეჭდება.

**დ. ხ—ნი. შ—დიას.** ტვენის მოთხრობა: „უკანასკნელი ჟამი დასასჯელად განმზადებულისა“ უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში.

**ქ. ბ.—მი, ქუთაისელს ხ—იას.** რა გნებავთ, თქვენის წერილიდგან ვერა გავიგეთ-რა!?.

Дозволено цензурою, Тифлисъ 19 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე